

AN INTERDISCIPLINARY STUDY OF THE 12TH CENTURY SCROLL MANUSCRIPT
H-1727 (FOR TEXT PUBLICATION)

XII საუკუნის გრაგნილი ხელნაწერის H-1727 ინტერდისციპლინური კვლევა
(ტექსტის პუბლიკაციისთვის)

Nino Megeneishvili

Doctor of Philology,

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts,

Tbilisi, Merab Aleksidze str, N1/3, 3093, Georgia,

+995 577 955011, ninomegeneishvili@gmail.com

<https://orcid.org/0000-0001-5985-9117>

Shorena Tavadze

PhD, Restaurateur, Ap. Kutateladze Tbilisi State Academy of Fine Art,

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

1/3 Merab Alexidze str. 3093, Tbilisi, Georgia

+995 595 635544, tavadze@hotmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6216-9093>

Abstract. Before the testological-codicological study of the manuscript book, it is necessary to assess its condition, the an archeographic description, a codicological study, a textological study are made and finally whether it is possible to use the manuscript safely for the research. From this point of view, H-1727, Epistle - Athanasius, Patriarch of Rome is interesting. The manuscript dates back to the 12th century. A multidisciplinary study of the manuscript revealed several important details: It is interesting who was Athanasius Patriarch of Rome, when did he work? The archeographer of the manuscript attributes the text to the apocryphal genre, It's interesting, why? It is interesting leaves are tied to each other and the structure. Different binding techniques have been preserved on the manuscript: cross, folded, folded diagonally. In the places of tying together, there are traces of compression, which proves that, probably, the split leaves were strengthened later.

Keywords: epistle, manuscripts, scroll, Textology, structure.

ნინო მეგენიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
თბილისი, ალექსიძის 1/3, 0193, საქართველო,
+995 577 955011, ninomegeneishvili@gmail.com
<https://orcid.org/0000-0001-5985-9117>

შორენა თავაძე
დოქტორანტი, რესტავრატორი, მეცნიერი თანამშრომელი,
კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
თბილისი, ალექსიძის 1/3, 0193, საქართველო,
+995 595 635544, tavadze@hotmail.com
<https://orcid.org/0000-0002-6216-9093>

აბსტრაქტი. ხელნაწერი წიგნის ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური შესწავლა ინტერდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს, უპირველესად აუცილებელია მისი მდგომარეობის შეფასება, შემდეგ კეთდება არქეოგრაფიული აღწერილობა, კოდიკოლოგიური შესწავლა, ტექსტოლოგიური კვლევა და დგინდება, შესაძლებელია თუ არა ხელნაწერის უსაფრთხოდ გამოყენება კვლევისთვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა H-1727, ეპისტოლე - ათანასე, რომის პატრიარქისა. ხელნაწერი თარიღდება XII საუკუნით. ხელნაწერის მულტიდისციპლინური შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი: ვინ იყო ათანასე რომის პატრიარქი, როდის მოღვაწეობდა? ხელნაწერის არქეოგრაფი ტექსტს აპოკრიფულ ჟანრს მიაკუთვნებს, საინტერესოა რატომ? საინტერესოა კეფების სტრუქტურა და გადაბმა. ხელნაწერზე შემორჩენილია გადაბმის სხვადასხვა ტექნიკა: ჯვარედინი, დაგვირისტებული, დახრილად ამოკემსილი. გადაბმის ადგილებში შემორჩენილია ამოკემსვის ნაჩხვლეტი კვალი, რაც ადასტურებს იმას, რომ სავარაუდოდ, დაშლილი კეფები შემდგომ პერიოდში გაუმაგრებიათ.

საკვანძო სიტყვები: ეპისტოლე, ხელნაწერები, გრაფილი, ტექსტოლოგია, სტრუქტურა.

შესავალი. ლიტერატურა ერის, ეთნიკური ჯგუფების სულიერი და ინტელექტუალური კულტურის ნაწილია. კ. კეკელიძე აღნიშნავდა: „მწერლობა, რომელშიაც აღბეჭდილია ამა თუ იმ ერის ყოფა, სულიერი ფიზიონომია, მისი აზრები, ფიქრები, გრძნობანი და განცდანი, მაჩვენებელია ამ ერის ისტორიული ცხოვრების და წარსულის შესწავლა სრული და ამომწურავი არ იქნება, თუ გათვალისწინებული და შესწავლილი არაა მისი მწერლობის ისტორიაც, ასევე უნდა ითქვას ქართული მწერლობის შესახებაც“. ერის ინტელექტუალური პოტენციალი მრავალფეროვანი კულტურული ლანდშაფტით გამოიხატება. ასეა ლიტერატურაც, რაც უფრო მდიდარია მისი თემატური ფონი და ფაქტობრივი მონაცემები, მით უფრო მდიდარია ერის წიგნიერი სალარო.

ქართული ხელნაწერი ფონდი მოიცავს თემატური და სტრუქტურული თვალსაზრისით მრავალფეროვან წერილობით ძეგლებს. ხელნაწერის ინტერდისციპლინური კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა H-1727, ეპისტოლე -

ათანასე, რომის პატრიარქისა. ანდერძის მიხედვით ირკვევა, რომ ხელნაწერის გადამწერია სუიმეონ ცოდვილი. ვინმე სუიმეონი ფიქსირდება სხვა ხელნაწერებშიც, მათ შორის A-98, წყაროსთავის სახარება, (X-XI ს.ს.)- „მე ცოდვილი სიმეონ“ (183r). როგორც გადამწერი სიმეონ ცოდვილი ჩანს A-1114-ის (იოანე ოქროპირის მათეს თავის განმარტება, XII ს.) ანდერძშიც: „უფალო შეიწყალე გლახაკი სიმეონ“ (148r), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ A-1114-ის ქრონოლოგიური თანხვედრის მიუხედავად, დასახელებული გადამწერები სხვადასხვა პირები არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ H-1727-ს ფიქსირდება რამდენიმე გადამწერი ხელი. ამის მიუხედავად, ხელნაწერის არცერთი ნიმუში არ ჰგავს A-1114-ის ხელს არც პალეოგრაფიული მახასიათებლებით და არც ლინგვისტური სტრუქტურით.

ხელნაწერის ტექსტოლოგიური კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა: გადამწერი ანდერძში აღნიშნავს: „ესე დაწერილი ჰრომით მოვიდა, რომელი მას შინა ეწერა...“, ეპისტოლეს ავტორად დასახელებულია ათანასე რომის პატრიარქი. საინტერესოა, ვინ იყო ათანასე რომის პატრიარქი, როდის მოღაწეობდა? ხელნაწერის არქეოგრაფი ტექსტს აპოკრიფულ ჟანრს მიაკუთვნებს, საინტერესოა რატომ?

უპირველად საინტერესოა, არის თუ არა აღნიშნული ეპისტოლე აპოკრიფული ჟანრის? აპოკრიფი ძველ ბერძნული სიტყვაა - ἀποκρυφός - და ნიშნავს დაფარულს, საიდუმლოს. ეს არის ე.წ. არაკანონიკური წიგნები: ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, გამოცხადებები, ეპისტოლეები. რამდენად ასახავს აპოკრიფის ეს კლასიკური განმარტება H-1727 ხელნაწერის შინაარსობრივ შემადგენელს?

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი მასალის ტექსტოლოგიური, კოდიკოლოგიური თავისებურებებისა და სტრუქტურული მრავალფეროვნების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ ხელნაწერის ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ და საწერი მასალის სტრუქტურული მახასიათებლების ინტერდისციპლინურ ანალიზს.

შედეგები და დისკუსია.

ხელნაწერის არქეოგრაფიული მახასიათებლები შემდეგია:

ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა - კეფის რაოდენობა აღწერილობის მიხედვით (ხელნაწერთა აღწერილობა (H) კოლექცია, 1950, გვ. 158) 4, არქეოგრაფიული აღწერისას აღმოჩნდა, რომ გრაგნილი რეალურად შედგება 6 კეფისგან; **გრაგნილის ზომა** - 265x16,5; კეფები სხვადასხვა ზომისაა, **თითოეული კეფის მონაცემებია** I - 45x16,5; II - 56x16,5; III - 59x16,5; IV - 57,5x16,5; V - 21x16,5; VI - 21x16,5; **მასალა** - ეტრატო; **დამწერლობის ტიპი** - კალიგრაფიული ნუსხური, სინგური; **მელანი** - ყავისფერი; **ხელწერათა რაოდენობა** - ორი [სამი]; **ხელნაწერის გადაწერის ადგილი** - უცნობია; **გადამწერი** - სუიმეონ ცოდვილი (1v); **გადაწერის თარიღი** - ხელის მიხედვით თარიღდება XII ს.; **სტრიქონთა რაოდენობა** - I r-55, v-35 (დაახლოებით); II r-83, v-68; III r-88, v-29; IV r-85, v-დაუწერელი; V r-25, v-დაუწ.; VI r-25, v-დაუწ.; **ნაწერის ზომა** - I - 37x13,5; II - 54x13,5; III - 56,5x14; IV - 56x14; V - 19,5x14; VI - 20x14; **არშიების ზომა** - I - ზედა არშია - 0 (მოხეულია), ქვედა - 0-0,2, მარცხენა - 1,7სმ; მარჯვენა - 1,5სმ; II-ზედა 0,5, ქვედა 1სმ, მარცხენა 1,5სმ; მარჯვენა 0,5-1სმ; III-ზედა 0,5, ქვედა 0,5, მარცხენა 1,5სმ; მარჯვენა 0-0,5სმ; IV-ზედა 0,2, ქვედა 0,7სმ, მარცხენა 1,5სმ; მარჯვენა 0-0,5სმ ; V -ზედა 0,5, ქვედა 0,8, მარცხენა 1სმ; მარჯვენა 0,5-1სმ; VI -ზედა 0,2, ქვედა 0, მარცხენა 1სმ; მარჯვენა 1სმ; **პაგინაცია** - კეფები არ არის პაგინირებული; **დაკანონვა** - მკვეთრად შესრულებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები; **კეფების გადაბმის ტექნიკა** - კეფები სხვადასხვა მეთოდითაა გადაკერებული; **დეკორი** - თავსამკაული (მოხეული, დაზიანებული, ნაკლული); **საზედაო ასოები** - დასაწყისები სინგურითა და ტექსტის

მელნით; ხელნაწერის მფლობელი - კ. კველიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი.

ხელნაწერი საწერი მასალის სტრუქტურითა და არსებული მდგომარეობის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა:

I, II, III, IV კეფების ეტრატი მოყვითალო ფერისაა, V და VI კეფები კი - თეთრი. I კეფი იწყება სინგურით (6 სტრ.), ძლიერ დაზიანებულია - გამომშრალი, გაუხეშებული, დეფორმირებული, ზედაპირზე მრავლადაა ბუნებრივად წარმოქმნილი ბზარები, ჩატეხილი-გახსნილი ადგილები, ეტრატი დამწვარი და გაშავებულია, ამიტომ ტექსტი რთულად იკითხება. მარჯვენა მხარეს მთელ სიგრძეზე კიდეები დაზიანებულია, რის გამოც მარჯვენა მხარეს ტექსტი ნაკლებია.

ყველა დანარჩენი კეფი სრული ფორმატისაა, თითქმის დაუზიანებელი. ზედაპირზე შეიმჩნევა ბუნებრივად წარმოქმნილი ოვალური ფორმის ნასვრეტები, ბზარები და ჩახეული ადგილები. II, III და IV კეფებისგან განსხვავებით V და VI კეფები ოდნავ მომწვარული და დეფორმირებულია. დეფორმირებულ ადგილებში ტექსტის ამოკითხვა ოდნავ გართულებულია. ექვსივე კეფის კიდეებზე ორივე მხარეს შეიმჩნევა თანაბარი მანძილით დაშორებული ნახვრეტები, დაკანონვის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები. დაკანონვის ხაზები ძირითადად ჩატეხილი და გახსნილია, ან დაწყებულია დაკანონის ხაზების გახსნა.

საინტერესოა კეფების ერთმანეთზე გადაბმის ტექნიკა. გრაგნილზე გამოყენებულია კეფების გადაკერების სხვადასხვა მეთოდი:

I კეფი II კეფთან გადადებულია და დამაგრების მიზნით არასწორი წყობით, ჯვარედინი ნაკერით მიკერილია არათანაბრად, უხეშად, აბრეშუმის ძაფის გამოყენებით, რომელიც გამომშრალი, გაუხეშებული და ჭუჭყიანია.

II და III, ასევე III და IV კეფები I და II კეფების გადაბმისგან განსხვავებით პირისპირაა მიდებული და ამოკერილი არათანაბრად და უხეშად. სავარაუდოდ, ეს ამოკერვა არ უნდა იყოს თანადროული. რადგან შეიმჩნევა თანადროული მჭიდროდ და თანაბრად დაშორებული ნახვრეტების კვალი. შესაძლოა კეფები ერთმანეთზე ჯვარედინად ყოფილიყო გადაკერებული. მეოთხე კეფზე შემორჩენილია ძაფის ფრაგმენტი.

IV კეფი V კეფთან გადაკერებულია სხვადასხვა მეთოდით - მარცხენა მხარეს კეფის კიდეები ერთმანეთზეა მიდებული და ამოკერებულია ჯვარედინად; შუაში გახსნილია, შეიმჩნევა ამოკერვის ნახვრეტები; მარჯვენა მხარეს კი კიდეები პირისპირაა მიდებული და ამოკერილი, თუმცა მარჯვენა მხარის კიდე უკვე გახსნილია.

საინტერესოა V და VI კეფების გადაბმის მეთოდი. კიდეები ერთმანეთზეა მიდებული (ზემოთ ოდნავ აწეული) და საოცარო ოსტატობით წვრილად, თანაბრად არის ამოკერილი, ისე რომ r-ს მხრიდან გადაკეცვის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბოლო VI კეფი უხეშად მიკერებულია კონდაკზე, ხის ჯოხზე. ეტრატის ბოლო ნაწილი არათანაბრად (ჩაკეცილი ფორმით) არის ჯოხზე დაფიქსირებული, ტექსტის ბოლო სტრიქონზე ძაფებია ამოყრილი. კონდაკი კარგადაა დამუშავებული და დაუზიანებელია, აქვს ორივე მხრიდან დამუშავებული ხუთწახნაგიანი ხვეული ფორმის კიდეები.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში შეინიშნება რამდენიმე ხელი. I კეფი ნაწერია მოგრძო ფორმის, ოვალური მოყვანილობის ნუსხურით. II კეფის შუა ნაწილში რვა სტრიქონი გრძელდება სხვა ხელით, მოგრძო, დახრილი ნუსხურით. სხვა გადამწერის ხელი ჩანს IV, V და VI კეფებზე, სადაც სტრიქონებს შორის დაშორება მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. მინაწერი, რომელიც ადასტურებს გადამწერის ვინაობას, დაფიქსირებულია VI კეფის ბოლოს ამავე კეფის ხელით, ამიტომ ვინმე სუიმეონი, სავარაუდოდ, ხელნაწერის

ერთ-ერთი გადამწერი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ტექსტის ლინგვისტური მახასიათებელი სხვადასხვა ხელისა და უმნიშვნელო სხვაობის¹ მიუხედავად ერთნაირია.

საინტერესოა გრაგნილის v-ზე შემორჩენილი ტექსტი. ექვსი კეფიდან მხოლოდ II და III კეფზეა შემორჩენილი რამდენიმე სტრიქონი. აღწერილობის მიხედვით ის უნდა იყოს ძირითადი ტექსტის ფრაგმენტი, ტექსტის ზოგიერთი ნაწილის განმეორება. ტექსტოლოგიური კვლევისას აღმოჩნდა, რომ v-ზე შემორჩენილი ტექსტი ლინგვისტური წესების დარღვევით შესრულებული ხელნაწერში დაცული თემატიკისა და შინაარსის სხვა თხზულებათა.

ხელნაწერის რაობაა „ეპისტოლე - ათანასე, რომის პატრიარქისა“. როგორც აღნიშნა არქეოგრაფი ეპისტოლეს XII საუკუნით ათარიღებს. ათანასეს, სასულიერო პირს, ისტორია რამდენიმე იცნობს: ათანასე ალესანდრიელს (297-373 წ.წ.), ათანასე I ანტიოქიის პატრიარქი (1157-1171), ათანასე კოსტანტინოპოლის პატრიარქს (1289-1293, 1303-1309), წმინდა ათანასე კოსტანტონოპოლის პატრიარქს (1597-1654). რომის პატრიარქად ვინმე ათანასე არსად არ არის ნახსენები. ხელნაწერი XII საუკუნით თარიღდება, ამიტომ შესაძლოა ეპისტოლეს ავტორი ანტიოქიის პატრიარქი ყოფილიყო, რომელიც ესწრებოდა 1166 წელს კოსტანტინოპოლში გამართულ საეკლესიო კრებას, რომელმაც დაგმო დიმიტრი ლამპიელი. ათანასეს ვინაობის გარკვევის თვალსაზრისით საინტერესოა ათანასე კოსტანტინოპოლელის მოღვაწეობა, რომელიც ამ წმიდა ქალაქის ოსმალთაგან დაპყრობას ემთხვევა და ის 1634-1636 წლებში იტალიაშიც კი მოღვაწეობდა და მისთვის კათოლიკურ კონფესიაზე გადასვლაც კი შეუთავაზებიათ. დასახელებულ ხელნაწერში არ არის დასახელებული არც სხვა პირი და არც არაფერია ნათქვამი ამ მოვლენების შესახებ. მოკლედ აღნიშნულია, რომ: „...მეკრიბეს ეკლესია... ..ლად კრებულნი მრავალნი - მღვდელნი და დიაკონნი ...და შუდნი და ებისკოპოსნი ორას და თორმეტნი და ათანასე პატრიარქი თაჲთ ჰრომისა...“ და დასახელებულია თარიღი: „მომივლენია ქრონიკონსა ორას და ოთხსა“. როგორც ცნობილია, ქრონიკონი არის წელთაღრიცხვის სისტემა, რომელიც 532 წლიან ციკლზეა დამყარებული. 781 წელს დაიწყო 12-ე მოქცევა. 781 წლიდან 204-ე ქრონიკონი დაახლოებით არის 985 წელი. მეცამეტე ქრონიკონი დაიწყო 1313 წელს, 204-ე ქრონიკონი 1517 წელი უნდა იყოს. რეალური ფაქტების, პალეოგრაფიული მონაცემებისა და ხელნაწერის საწერი მასალის სტრუქტურის ინტერდისციპლინური ანალიზი გვიჩვენებს, რომ თხზულების დათარიღება XVI საუკუნით შეუძლებელია და ის XII-XIII საუკუნით უნდა დათარიღდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ათანასე კოსტანტინოპოლის პატრიარქი 1597 წელს დაიბადა და 1654 წელს აღესრულა. აქედან გამომდინარე ვინმე ათანასე რომის პატრიარქი შესაძლოა მოგონილი „აპოკრიფი პერსონაჟი“ იყოს და არა რეალური ისტორიული მოღვაწე.

აღსანიშნავია, რომ ტექსტი ძირითადად შეიცავს მკაცრ გაფრთხილებებს ურჩი მლოცველებისა და მრევლის მიმართ. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, შესაძლოა ეს საზოგადოებაზე ზემოქმედების ერთგვარი იდეოლოგიური იარაღი იყო. არ დაგვავიწყდეს, რომ უკვე მომხდარია საეკლესიო განხეთქილება, ე.წ. დიდი სქიზმა. ამ მოსაზრებას შესაძლოა ამყარებდეს ხელნაწერის ტექსტოლოგიური სტრუქტურა - ეპისტოლეში, რამდენიმე ფაქტობრივი მონაცემის გარდა, უხვადაა არაფრისმთქმელი, გაურკვეველი შინაარსის წყევლა და გაფრთხილება ღმრთის სასჯელის შესახებ: „აწ უკუეთუ ვინმე იკადროს და თქუას წერილისა ამისთაჲს ჩემისა, თუ ძუელი არსო და არა ჰრწმენეს, წყეულ იყავნ შვილითურთ“, „...და ყოველთა, რომელთა თანა მოაწიოს წერილი ესე დასწერდით და წასცემდით ყოველთა სოფელთა, რაათა ცნან ყოველთა თარგმანებაჲ წიგნისაჲ ამის, უკუეთუ არა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისა და ბრძანებაჲ, იყავნ მათ ზედა რისხვაჲ ღმრთისაჲ განუქარვებელი და რომელთა ჰრწმენეს, წყალობაჲ

¹ კვირიაკე რამდენიმე ფორმითაა აღნიშნული: კვირიაკე, კუირიაკე, კუირიაკა, კარიაკე

ღმრთისაჲ იყავნ მათ ზედა“. შესაძლოა, სწორედ მეტი დამაჯერებლობისათვის ყოფილიყო დასახელებული ეპისტოლეს ავტორად შექმნილი, „რეალური“ პირი ვინმე ათანასე რომის პაპი.

დასკვნები

1. გაურკვეველია, ვინ არის ეპისტოლეს ავტორი ვინმე ათანასე რომის პაპი, როდის მოღვაწეობდა, არის კი ის რეალური ისტორიული პირი?
2. ეპისტოლე მდიდარია წყევლითა და ღმრთის სასჯელის შეხსენებით.
3. აღწერილობის მიხედვით გრაგნილის v-ზე ეპისტოლეს ნაწილი უნდა იყოს განმეორებული, მაგრამ ხელნაწერის ტექსტოლოგიური კვლევისას გრაგნილის v-ზე აღმოჩნდა იმავე შინაარსის სხვა აპოკრიფული ტექსტის ფრაგმენტი.
4. ხელნაწერი გრაგნილი ფორმატისაა. აღწერილობის მიხედვით გრაგნილი შედგება 4 კეფისგან, კვლევისას აღმოჩნდა, რომ ტექსტი განაწილებულია 6 კეფზე. განსხვავებული ხელითა და მანერით, ასიმეტრიული მსხვილი ნუხურითაა ნაწერი ტექსტი v-ს მხოლოდ მე-2 და მე-3 კეფებზე. ტექსტი ზოგან გადაშლილია, შეიმჩნევა ტექსტის გაცხოველების კვალიც.
5. საინტერესოა კეფების გადაბმა. ხელნაწერზე შემორჩენილია გადაბმის სხვადასხვა ტექნიკა: ჯვარედინი, დაგვირისტებული, დახრილად ამოკემსილი. გადაბმის ადგილებში შემორჩენილია ამოკემსვის ნაჩხვლეტი კვალი, რაც ადასტურებს იმას, რომ სავარაუდოდ, დაშლილი კეფები შემდგომ პერიოდში გაუმაგრებიათ.

ეპისტოლე ათანასე რომის პატრიარქისა

1 კეფი

სახელიათა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. რომელ უფალმან ღმერთმან ჩუენმან ვი...თ მისითა წ... გარდამოვივლინა მოცი...² ქალაქსა წმიდასა ღმრთისასა ფრიად საკარველ ესე ქ...სი, რომელ უფროს იყო გონებით არა სწოებოდა, არცა ცასა და ა... იყო იგი ფიცართა ზედა მყინვარისათა რ... და ერთი მათგანი შერბოდა ესწრ... ესე პატრიარქისა მოდრიკნა მუალოთ ... უფალო, გამოედ და იხილეს უცნაური რ... ეკლესიასა ზა...³ მოქცინეს და გამოვიდეს ყოველნი კრებულნი ეკლესიასა შინა ნახეს და შიშმან შეიპ... ..ცეს სიტყუაჲ ყოველთა მას ზედა და შეკრიბეს ეკლესია... ..ლად კრებულნი მრავალნი - მღვდელნი და დიაკონნი ...დაშუდნი და ებისკოპოსნი ორას და თორმეტნი და ათანასე პატრიარქი თაჲთ ჰრომისა ... შეკრბეს მოწამენი ერნი ორმოცდაშუიდი ათასი მოხუცებულნი, ჩჩაღნი და ჭაბუკნი და ქალწულნი და არა დაშთა სახლსა შინა კაცი მორწმუნეთაგანი ერთი გარნა დედაკაცი წიღოანი, რომელ არა ღირს შესლვად ეკლესიასა ღმრთისასა, რაჲთა რაჟამს შე...ბეს ესე ყოველნი, ჰპოეს ღმრთისაგან სათხუელი, ვითარ ჯერ იყო.

მაშინ ბრძანებით ღმრთისაჲთა მოიქცა მე იგი დაუ...მე და იქმნა ბნელ ქუეყანასა ზედა ჟამ ორით, მაშინ ტირილი და გოდებაჲ და ტყუებაჲ ფ... ყოველთაჲსა და ისმოდა მანდა ამაჲ წმინდისა ამათ ებისკოპოსთაჲ, რომელნი ტორიდეს მწარედ და კუნესოდეს და ამაჲ ... და რომელნი დგეს და ისმენდეს, მუნ ამაჲ იგი რავდენსა ესმოდა ... და მაშინ აწნილად ერი იგი ტირილით იწოდებოდა ღმრთის მიმართ უფალსა ყოველთაჲსა.

მაშინ აღგდა ათანასე პატრიარქი ჰრომს ...სეთ თვისი და კრებულნი ყოველნი შეიმოსნეს ბრწ... და განიწმინდნეს თავნი თვისნი დუხჭირისაგან ცოდ..., დგა ათანასი

² შემდეგი ერთი სტრიქონი არ იკითხება

³ შემდეგი ორი სტრიქონი არ იკითხება

პატრიაქი და დაუფინა სა... და გარდამოადა წიგნი ესე და განისუენა მას ზედა, მაშინ ხ... ტიროდეს და სულთქუმით გარდათარგმნეს და... ესმა ყოველსა ერსა სამგზის და რაჟამს იკითხვიდეს წმიდისა მო...თნებულსა ღმრთისა მოციქულსა. მაშინ თქუეს ერთობითა ... ძალთაა, რომელმან მოავლინა ჩ...ნი შობაა ესე და სასწაულები აღმართებად ერისა და გცე რაოდენთაგანსა ამას წმიდასა ესე გარდამომივლენა თქუენ ზედა დაწერილი თითითა ჩემითა და დაწერით შექმენით, რომელ მოუწერია ამას ქრონიკონსა ...

2 კეფი

... მომივლენია ქრონიკონსა ორას და ოთხსა

... მოიქეცით გზათგან თქუენთა ბოროტთა და ენათაგან თქუენ თანა, რომელნი ზრახვენ ურცხუინოდ და რომელნი ზრახვენ მღდელსათა და ეკლესიისა, რაჟამს შესწირვიდეს უმსან წყეულ იყავნ, აწ დაიმარხენით ენანი თქუენი ტყუილისაგან და სიძვისა და დაამარხეს მე, რომელსა ეწოდების კარიაკე, დღე ადგომისა ჩემისაა, და წმიდად პარასკევი და ორგზის და უმეტეს დღა ჩემი წმიდაა კურიკა შაბათი ცხრაა ჟამითგან, ვიდრე ორშაბათ მზისა აღმოსულამდე და თუ არა დაამარხოთ დღა დიდი კურიკაკენ ძით გამცენ თქუენ და მარხვად და არა დაამარხოთ მოვავლინო თქუენ ზედა ძენი კაცთანი, რომელთა დასთხინენ სისხლნი თქუენი ქუეყანასა ზედა; თუ არა მოაქცეო ჩემდა და კულად მოვავლინო თქუენ ზედა რისხვაა გულიუსწყრომისა ჩემისაა - ქვაა და სეტყვაა, მკალი და მუმლი და რისხვაა ჩემი ფრიადი, რომლისაა არა იყოს რიცხუი, რომელი მოვავლინო თქუენ ზედა კურიკაკისა ჩემისათვის და რჩულისა, რომელი მე მიგეც თქუენ და განიშორეთ და ეკლერსიათა კიდე ქცევისათვის; თუ არა ისმინოთ და არცა მოაქცეთ გულთა თქუენითა და არა ისმინოთ ამისა ჩემისაა, რომელ გითხარ თქუენ, წარგწყმიდნე ყოველნი, რომელ ყოფად არს და იქმნების თქუენთუის.

ნუ ჰფუცავთ სახელსა ჩემსა დიდსა და მარჯუენასა ჩემსა ძლიერსა, უკუეთუმცა არა იყო ვედრებაა ანგელოზთა ჩემთაა თქუენთუის მო-მცა-ვავლინე თქუენ ზედა, ვითარცა დღენი ნოესნი დღისათვის კურიკაკისა. მაშინ მოავლინა წყლითა რღუნაა ქუეყანასა ზედა და წარწყმიდნა ყოველნი და თქუენ მუნვე მიექეცით საქმეთავე თქუენთა.

ამისთუის თქუენი შობაა ასპირისაა არს, რამეთუ ობოლნი და ქურიკონი, გლახაკნი და დავრდომილნი ეკიდებიან კართა თქუენთა და არა ჰყოფთ მათ ზედა წყალობა საშობილნი ასპიტისანო, ებრაელთა მივეც მჯული და კურთხევაა აელითა მოსესითა მთასა სინასა და მათ უმეტესად კარნი მათნი განიწმინდნეს და მონაგები მათი განუყვეს. გლახაკთა და უცხოთა შიშით და ძრწოლით მისცემდეს კრებული მათი ძალსაებრ მათისა და თქუენ გმოსიეს ნათლისღებაა ჩემი წმიდაა და მოცემულ არს თქუენდა ჩემ მიერ სამეზისა წმიდისა მაღლი და იქმნენით თქუენ გარდამავალ და არა მსმენელ და არცა ისმინეთ ამისა ჩემისა და მცნებანი ჩემნი არა დაამარხენით და დღა ჩემი წმიდაა კურიკაკე. აწ უკუეთუ გრწამს, მოაქეცით, თუ მე ვარ უფალი და იცით და მე თქუენდა, რამეთუ აელი ჩემი მაღალი არს და მკლავი ჩემი ძლიერ არს, თუ არა მოაქეცით თქუენ ჩემდა გზასა მისგან ბოროტისა და არა ჰყოთ წყალობაა გლახაკთა ზედა და არა დაამარხოთ დღა ჩემი წმიდაა კურიკაკე, მოვავლინო თქუენ ზედა გუელი ფრთოანი, რომელი მოჰჰამდეს ძუძუსა დედათა თქუენთასა ამისთა, რამეთუ ენანი თქუენი ზრახვენ უმჯულოებასა და ამა ჰყავით ეკლესიასა შინა ცუდი.

აწ ამინ, ამინ, გეტყუა თქუენ, უკუეთუ არა ისმინოთ სიტყუანი ჩემნი, თუ არა დაამარხნეთ და დღა ჩემი წმიდაა კურიკაკე ცხრაა ჟამითგან, ვიდრე ორშაბათ მზისა აღმოსლვამდე. დღესა პარასკევსა ვითხოვ, აწ მე თქუენგან, აწ საწუთროსა ამას შურისგებაა არა ჯერ არს ეკლესიასა ღმრთისასა, ჰყვენით მარხვითა და ლოცვითა აღმსარებელ. ამინ გეტყაით თქუენ, რომელმან გაიშოროს ცოლი თუისი და სხუაა შეირთოს. აჰა, სისხლი იოვანე ნათლისმცემლისა ჩემისა, მისა ზაქარიასი თავსა მისასა ზედა იყავნ, უკუეთუ არა

მოიქცეთ ჩემდა და არა ისმინოთ სიტყუანი ჩემნი, რომელი გიჩუენე თქუენ მამათა თქუენტა უწინარეს.

მოვავლინო თქუენ ზედა სეტყუა და წყალი მდუღარეა დავადინო თქუენ ზედა, მოვავლინო სიკუდილი პირუტყუთა თქუენტა ზედა წინასა პარასკევსა სთუვისასა, რაათა სცნათ, თუ მე ვარ, მოვავლინო თქუენ ზედა განსაცდელი, რომელი იხილოთ, შესძრწუნდეთ. აჰა, აღვასრულო, რომელ ვთქუ: „ოდეს არა ჰქმენით და არა დაამარხეთ დღე ჩემი პარასკევი და დღე ჩემი დიდი კურიაკა, რომელ არს დღე ადგომის ჩემისა“. აწ ვფუცავ ადგომასა მკუდართასა და შრომასა ანგელოზთა ჩემთასა, არა განვაქარვო თქუენგან, რომელ გარქუ თქუენ ყოფად. აწ თქუენცა ყვენ კაცმან, მორწმუნენო, რომელმან შეწიროს ეკლესიასა მონაგებისაგან თუისისა, მე ვარ გარდამადელი მისა სასუფეველსა ცათასა და აწცა საწუთოასა ნაცვალად ერთისა წილ ოცდაათი, სამოცისა წილ ასი. აწცა საწუთოსა დაწერო სახელი მათი საწუთოსა ცხორებისასა და უკუეთუ ვინმე მისცეს ვეცხლი თუისი ახლით ახლად ნათესავსა თუისა და აღნადგინები ადლოს ვეცხლისა თუისისა, რისხვანა ჩემი გარდამოადეს ზეცით მის ზედა და თავი მისი, ვითარცა ვეშაპისა იყოს და უკუეთუ ვისმე აქუნდეს საეჭუელი მოყუსისა მიმართ, ნუ შევალს ეკლესიასა ღმრთისასა, ნუცა ეზიარების, უკუეთუ არა ჰნებავს დაგება სიტყუათა ღმრთისათა, უკუეთუ ვინმე თქუენგანი მივეც აელთა უშჯულოასათა განერა და ნაშრომი მისი წყევასა ქუეშე იყოს. შენ, რომელმან გულისწყრომა მოგონოს დღესა კურიკესა მოყუსისა თუისისა.

3 კეფი

ნუ შეენდობინ მას ცოდვან მისი მრავალი დღესა კურიაკესა, სიყუარულითა სიტკბოებითა, სიხარულითა იყვენით ურთიერთას, რამეთუ სული წმიდა მხიარულ არს თქუენდამო, ნუ ყოფდით გლახაკთა დარდომილთა და ღთუით წყალობა წინაშე საშინელსა საკურთხეველსა, რომელნი წინაშე ჩემსა დგანან ყოველნი ქმნულნი ჩემნი საშჯელსა სიმართლისასა.

რამეთუ ჩემ წინაშე არა არს ქრთამი, უკუეთუ ვინმე პატივსცეს მღდელსა, რომელი განუყოფს კრავსა უმანკოსა ზედა ტრაპეზსა, რომელმან აახუნა ცოდვანი სოფლისანი, იყავნ წყალობა მას ზედა და აწ საწუთროსა.

რომელმან კულა შეურაცხყოს მღდელი, აქა წყეულ იყავნ და მუნ დღესა მას არა შევკრთო სამწყსოსა ჩემსა, რამეთუ იგინი არიან მხიარულნი სახლსანი და დიაკონნი, რომელნი იქმან ნებასა უფლისასა ღმრთისასა.

და ასწავებდენ განძთა წმიდასა ეკლესიისა ჩემისათა და თუ არა ისმინოთ, რომელი გარქუ თქუენ, მოვავლინო თქუენ ზედა სასტიკი საღმობა, რომელ სტკიოდის მწარედ და ეწუებოდის უკურნებელი საღმობა კორძი, რომელი გამოვალს გუამისაგან მავალი ცოცხალი და ფრად მტკივანი, რომელსა ვერ დაათმენდეთ და დაეყენოს მბრწყინვალეობა მზისა თქუენ ზედა. განიწმიდეთ აწ წყლულებან თქუენგან და უკუეთუ ისმინოთ სიტყუანი ჩემნი, შეანანოთ და მოაქცეთ და დაამარხოთ დღე ჩემი დიდი წმიდა კურიაკე და ჰქმნათ, რომელ დამიწერია თქუენდა, აღმოგიცენო თქუენ ყოველი ნედლი ჯეჯილისა და განვამრავლო ცუარი და წუიმა ქუეყანასა ზედა და მოვიქციო პირი ჩემი თქუენდა და შეგიწყალნე თქუენ და შვილნი თქუენი ვაკურთხენე და ყოველნი ნათესავნი თქუენი და მოგცე თქუენ წუიმა მსთუა და მცხუედი, ვითარცა პირველ და აღგავსნე თქუენ ყოვლითა კეთილითა ზეცისა და ქუეყანისაათა.

აწ უკუეთუ ვინმე იკადროს და თქუას წერილისა ამისთას ჩემისა, თუ ძუელი არსო და არა ჰრწმენეს, წყეულ იყავნ შვილითურთ. ესე არა უწყითა საწყალობელნო, ვითარმედ ათასი წელი წინაშე თუალთა ჩემთა, ვითარცა გუმინდელ დღე არს და ვითარცა წამიერთა აწ ყოველსა ჟამსა იკითხევდით და გარდაწერდით წერილსა ამას ჩემსა და დაიმარხეთ დღე ჩემი წმიდა კურიაკე და ამა ისმა მუნთქუესვე ზეცითა: გურწმს. გურწმს. გურწმს.

წმიდა კუირიაკე დიდი და შუენიერი და ომისა მისგან სული მოვიდა სურნელებისა ჰამოა, რომელი არავის ასმია ქუყანასა ზედა და ომაა გუესმა კუალად, რომელ იტყოდა: „კურთხეულ არს პატივი ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ცათა შინა და ქუყანასა ზედა უკუნისამდე..“

მაშინ მე პატრიაქი ოდეს ღირს ვიქმენ სმენად ბრძანებასა უფლისა ღმრთისა ჩემისასა პირველითგანსა, მაშინ კადნიერ ვიქმენ და ვიკადრე დაწერად ოგლოთმეუხებელსა ამას და წარცმად ყოველსა ქუყანასა ვიდრე მზისა აღმოსავალამდე. აჰა, აწ ვფუცავ, მძანო ჩემო, მდდელთმოდლუარნო და ერნო მორწმუნეთ ძალსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და სახელსა მისა დიდებულსა წმიდისა სამებისასა და კრებულსა ანგელოზთასა და გუნდსა სერაბინთასა და კურთხევასა ქერობინთასა, რომელნი ჰხადიან სახელსა ღმრთისა ჩუენისასა ყოველსა ჟამსა ესრეთ. წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ძალთაა, მეუფა საუკუნოა, რომელსა დიდებასა არა არს დასასრულ და კუალად ვფუცავ ძალსა და მადლსა წმიდასა და დიდებულსა პეტრესა და პავლესსა და იოვანესსა, რომელი ზრახვიდა პირითა წინასწარმეტყუელითა მოციქულთა და წმიდათაათა.

ვითარმედ არა დაწერა ესე ოგლითა კაცთათა, არცა სიბრძნითა. ნუ ურწმუნო იქმნებით წერილსა ამას და ყოველთა, რომელთა თანა მოაწიოს წერილი ესე დასწერდით და წასცმდით ყოველთა სოფელთა, რათა ცნან ყოველთა თარგმანებაა წიგნისა ამის, უკუეთუ არა ისმინონ სიტყუაა ღმრთისა და ბრძანებაა, იყავნ მათ ზედა რისხვაა ღმრთისაა განუქარვებელი და რომელთა ჰრწმენეს, წყალობაა ღმრთისაა იყავნ მათ ზედა. აწ მძანო ჩემო, ვფუცავ თქუენდა მომართ კუალად ოგლსა მისა მართალსა და მკლავსა მისსა ძლიერსა, არცა ომაა ქუხილისაა იყო, არცა სლვაა ღრუბელთაა, არცა ფრთენი ელვისანი, არცა შუენიერებაა მელქიზედეკისი, არცა წინასწარმეტყუელებაა ებრაელთაა, არცა სიმდაბლე უმანკოთაა, არცა მარხვაა მართლთ, არცა აღორძინებაა ზებედესი, არცა სიმართლე ობისი, არცა იგი მადლი, რომელი იხილეს მთასა სინასა, არცა მოსესი, არცა აპრონისი, არცა ლოცვაა ოთხთა მახარებელთაა - მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანესი, რომელთა ზედა აღეშენეს ეკლესიანი მორწმუნეთანი, არცა იგი ძლიერებაა, რომელ მოეცა ოვანეს ოგლთა ზედა თვისა უფლისასა, არცა იგი გუამი, რომელსა ეტუირთა უფალი და იშვა მისგან, არცა ნიში ჯუარისაა, რომელმან იტუირთა იგი, არცა სამარეა, რომელსა დაადვა იგი სამდლე და აახუნა ცოდვანი სოფლისანი და გამოვიდა ძალითა და დიდებითა, არცა საადუმლოა თორმეტთა მოციქულთაა, რომელ დაჯდა სერობასა მათ თანა, არცა დაფლვასა აბელის მართლისასა, არც აღდგომასა მართალთასა.

არცა რომელ ბევრის ბევრეულთა ანგელოზთაა, რომელნი დგანან წინაშე მისა მსახურებად. ამათ ყოველთა ძალსა და განგებასა ვფუცავ და ვიწამებ, არცა დაწერა ძეთაგან კაცთათა, არამედ თითითა უფლისა ღმრთისათა და მოავლინა ჩუენ თანა, რათა მოვიქცეთ გზათაგან ჩუენთა და ტყუალისა და რომელთა ისმინონ და აღიღონ თარგმანებაა ესე და დადვან ეკლესიათა და კუირიაკითი კარიაკედ, წარიკითხვიდენ სიტყუაა, დადვან მდდელმან ერსა ზედა, რათა ყოველთა ისმინონ და წარიკითხოს კრებულსა ზედა ყოველთა, რომელთა ისმინონ და არა ჰრწმენეს, ვითარმედ უფალსა ჩუენსა ოგლსა ქრისტესა მოუვლენა წერილ.

4 კევი

ესე წყეული იყავნ და ნუმცა მუცემულ არს თესლი ყოვლისა ამისსა და ჯეჯილი მის ნუმცა ექამა და შვილთა მისთა ნუმცა უხარიან, თუით წყეულ იყავნ აქაცა და მერმეცა, წყეულ იყავნ მამისა მისა და სულისა წმიდის მიერ, რომელმან არა შეიყუაროს უფალი ჩუენი ოგლსა ქრისტეს.

და კუალად ამას გეტყუა თქუენ, ძენო, კაცნო დაიმარხეთ სახარებასა ჩემისაა სიტყუა უკუნისამდე. არა იხილა ვითარმედ ცანი და ქუყანა, წარადენ, ხოლო სიყუუანი ჩემნი არა წარადენ, იფქლი და ღუინოა შეიმატა მარჯუენემან ჩემმან და არა დაამარხეთ წმიდაა

კარიაკე, აღდგომა ჩემი. მოვივლინე თქვენ მტერი ზღვით, რომლითა დასთხიეს სისხლი თქუნი და არა გულისმისმყოფელ მოვივლინე თქვენ შიმშილი და სისხლი საზარელი შენით, სიტყუა და კუამლი მოგეც საქმელად მაცთა პირუტყუა თქუენ წმიდისათას კარიაკესა და თქუენ არა ირწმუნეთ, არამედ სხუასა უვარესსა შეხუდით. მოვიასენებ და ვფუცავ ყოვლად წმიდასა დედასა ჩემსა, რომელ მეოხ არს ერისათას, არა მოვიქციო, რომელი ჩემი თქუენდა თუ არა მოაქციოთ ჩემდა მცირედ და თქუენ უარესა მოექციოთ, ვითარმედ ობოლნი და ქურივნი არა შეიწყალენით, ვითარ ვყო წყალობა ჩემი თქუენ ზედა ძალღნო უღმრთონო, არა უწყითა ჰურიათა თანა ეზიარენით? მივეც მათ მთასა სინასა შჯულ და დაიმარხეს იგი და მე თუით მივეც ნათელი სიტყუა ჩემი და არა დაიმარხეთ და გარდაჰვედით მას. აწ თუ არა დაიმარხნეთ მცნებანი ჩემნი და წმიდა კვირიაკე და სასენებელ წმიდათა და აღდგომა ჩემი, გეფუცები თქუენ მარჯუენსა ჩემსა და მკლავსა ჩემსა, მღდელსა და საყდარსა ჩემსა უძლეველსა და ყოვლად წმიდასა დედასა ჩემსა და იოვანეს ნათლისმცემელსა ჩემსა, თუ არა დაიმარხო კვირიაკე ცხრა ჟამითგან შობილი, ვიდრე ორშაბათ გათენებადმდე და ოთხშაბათ პარასკევთა სიწმიდით დაიმარხევდით.

უკუეთუ ესე არა ჰქმნათ თუესა სეკდენბერსა პირველსა დღესა და ღამესა, ვაწუმო თქუენ ზედა ქვა მარჯალი და წყალი მყოფინარე და დაწუას მზისთუალმან ქუეყანა და მოჰკუდეთ მწართა სიკუდილითა. თქუმად გიც დასასრულსა ღამისასა ანგელოზთა ჩემთათას და ყოვლად წმიდისა დედისა ჩემისათუის, რომელთა იხუაიშნეს ერისათას და კუალად შეფუცებ, თუ არა დაიმარხოთ წმიდა კარიაკე და სასენებელი წმიდათა, მოვავლინო თქუენ ზედა მტერი საშინელი და მოვაქციო პირი ჩემი თქუენგან და არა ვისმინო თქუენი ჭირი და არცა კუნესა და თუ ისმინოთ წერილისა ჩემისა და დაიმარხოთ, არა დაგაკლო კეთილი თქუენ და სხუასა გეტყუ თქუენ მარჯუენისა აელსა ჩემისათვის და მკლავისა ჩემისა მალღისათუას და ყოვლად წმიდისა დედისა ჩემისათას, უკუეთუ არა დაიმარხოთ წმიდა კარიაკე, არა შეხუდიეთ ცხორებასა საუკუნესა და სასენებელი თქუენი უკუნისამდე წარწყმდეს, დუხჭირი სამოქმედნო დუხჭირსა უარყოფთ, მოაძულენით ძმათგან და საგმობელ იქმენით მიჩუენეთ მე, რომელთა სცხოვნდებით ჯუარისა მტკებელნო, განსძლიერდით გლახაკთა ზედა კართა თქუენტა. გლახაკნი ჩემგან ითხოენ და იტყუიან უფალი მიქცეულ არს ჩემგანო და არღარა გუწყალობენო, სისხლი მათი ბჭეთა ზედა ვიძიო.

უკუეთუ არა გაუწყოთ ბჰობა უსამართლო ბნელი ცოდვისა, შვილნი თქუენი ჰამდედ მიწასა ქუეყანისასა უსამართლონო, წყეულ იყავნ მამასა სახლისა, რომელი არა მოვიდოდის ეკლესიასა ღმრთისასა, ვითარ ჯერ არს და ღირს ეკლესიასათუისას, კუალად ვფუცავ დედასა ჩემსა ყოვლად წმიდასა და იოვანეს, რომელმან ნათელმცა მე. არა დაიწერა მოციქული ესე კაცთა აელითა, არცა ენითა. ვა, მღდელსა მეჰომესა და მაშფოთებელსა;

ვა მას კაცსა, რომელსა სძულდეს ხუცესი, მას ეკლესია ქრისტესი სძულს; ვა თქუენ, რომელნი ნათლისცემასა იქმნთ და არა შეიკრძალავთ; ვა, საზღვარისაგან მარწყეველსა; ვა ცრუ მოწამეთა, რომელთა უსამართლოდ წამონ, წყეულ იყავნ, რომელმან წარიკითხოს და სიტყუა დამალოს სირცხულითა.

კურთხეულ არს, რომელმან წააკითხოს მოციქული ესე სხუასაცა სოფელსა, უკუეთუ ჰქონდიან ცოდვანი უფალსა თუისისაგან, მე აუარცნე დუხჭირისა მოქმედნო და უწყალონო განგიწესენ ექუსნი დღენი საშრომელად თქუენდა და კარიაკესა დღესა მისღვად ეკლესიასა ღმრთისასა, აუარებდით ცოდვათა თქუენტა საწყალობელნო. გასუენეთ. გასუენეთ. გასუენეთ.

მე ვშურები და თქუენ იქადით, უკუეთუმცა მე არა მოვიყვანე წუიმა, არამცა მოგუცა ქუეყანა მან ნაყოფი თქუენ. არა იცითა, ზღუა განვაპე, ერი განვიყვანე ამელად და ფარაო დავანთქ? უკუეთუ გრწამს, პირველ თქუენ თანა არს, რად არა გეშინის ცოდვათა

თქუენთაგან? უკუეთუ ოღონი განვაძმნე, სადა გეგულები დამალვა, წყეულნო, საყდრსა ჩემისანო და მთავარანგელოზთაგან ჩემთა, რომელმან ქმნეს მცირედიცა, რააცა რაამე საქმარი კარეკესა ცხრაა ჟამით შაბათისაათ, ვიდრე ორშაბათ გათენებამდე. გაუტევეთ, გაუტევეთ, გაუტევეთ. საქმე, რომელი იპოების, შედით.

მზრახვათანო, ღმრთის მარისხეველნო და თუ თქუას ვინმე, მოციქული ესე არა არს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, წყეული იყავნ, ანუ კაცისა ოღლითა დაწერილი არსო, დაძმკადროს ცეცხლით უკუნისამდე. აძმა იყო ზეცით სამგზის, რომელი იტყოდა, გრწმენან, გრწმენან, გრწმენან ყოველთა შიშით მოციქულისა და ისმინეთ, მაშინ დაეცა პირსა ზედა თქუენსა ათანასი ეპისკოპოსი აქა.

ვითარცა წამორდომასა იტყოდა და ეგრევე აქა იტყუის ძლიერებითა ღმრთისა იესუ ქრისტესითა და იოვანე ნათლისცემისაათა, არა დაწერა ესე მოციქულითა ქრისტესი კაცთა გონებითა, არამედ მამისა ჩუენისა და იესუ ქრისტესგან და ნუვინ ურწმუნო იქმნებით წმიდისა ამის მოციქულისათუის, რომელმან არა წარიღოს სხუასაცა სოფელსა

5 კეფი

მოედინ რისხვაა ღმრთისა სახლსა მას, სადა შვილთა მისთა და უკუეთუ არა აქს წერილ ესე მდდელსა, ნუმცა აქუს წყალობაა ღმრთისაგან. ვაა მის მდდელისათუს, რომელ საანენებელსა წმიდათსა არა აღასრულებდეს. თუ იცით ცური ზეცით არს მეუფა ზეცით არს; ვაა, ვაა მდდელსა შურით⁴ მზრახსა და მოსარჩლესა, რაჟამს მოვიდეს ზეცით, უჩუენოს ცეცხლისა უღელი ძართა თასთა ზედა დაუცხრომელად მფოფინარე ცეცხლისა, ვითარმცა არა დაწუას პირი მისი არათუ ჟამი, ოდენ წიროს, არამედ სხუასაცა გმობასა იქმს. წყეული იყავნ, რომელმან წარიკითხოს და დაუტეოს სიტყუაა სირცხულითა, რომელმან მოყვანოს ოღლმწიფისა კაცი თვისა სოფელსა დღესა კარეკესა ბჟობად და შეპრიონ ჰალვაა და შფოთი, არამედ არა იხილა დღე კარეკე, ნათელ არს ცეცხლის ფერი და ალი საყდრისა ღმრთისა და თქუეს, არა დაძმარხავთ და საყდარსა მისა საშინელსა და მკლავსა მისა ძლიერსა და დედასა მისა შეურაცხყოფთ, კუალად ვფავ, რომელსა მდდელსასა არა დაწერა მოციქული ესე კაცთაგან, არცა ემსგავსა კაცთა. ნუ ურწმუნო იქმნებით, მიითუაღეთ, განისუენეთ, რომელ ვასწავე ნინეველთა, უქადაგე, დაიანსა ქალაქი. ესე არს ბრძანებაა ღმრთისა. ცანით, ჟამსა ამას იხწვიან მდდელნი და მამადმთავარნი მძლეა სიკვდილისა. მე მოვიდე რაბი, თუ არა მოაქცეთ, ვსტყერო რისხვა ჩემი დაწუვად, მიწყით ქუეყანაა, სადა მოვიდეს ესე მოციქული სოფელთა და ქალაქთა ჩუენთა, ამისთას ნუ სცთებთ და თუ არა სარწმუნოთ დამკუდრებად გიც ცეცხლი საუკუნოა.

6 კეფი

ვაა თქუენდა მაჭირვებელნო, თქუენ აჭირვებთ გლახაკთა და სხუანი ბჟობენ უსამართლოსა; ვაა მათ, რომელნი გლახაკთა და ჭირვებულთა არა შეეწიოს; ვაა მას, რომელმან წმიდასა ნათლისღებასა არა პატივ სცეს, რამეთუ ქრისტეანობა წმიდაა ნათლისღებაა არს; ვაა მათ ძეთა, რომელნი მამასა არა განამართლებენ. აწ რომელსა ჰრწმენეს, რომელ წმიდამან მოციქულმან თქუა, აქუნდეს ცხორებაა საუკუნოა და რომელი ურწმუნო იქმნას, დაძმკადროს ცეცხლით საუკუნოა.

ხოლო კაცო, შეასმინეთ სიტყუანი ჩემნი თქუენ ზედა, თუ არა მოვავლინო თქუან ზედა ძალით ცოფი და სიკუდილი კაცსა და აასრას ნათესავი კაცისა, ავადგინო არტავაზ, რომელ ასრას ძირი კაცისა და მოვავლინო თქუენ ზედა ძალით, რომელ შჟამდეს კაცისა ოორცსა. მე დამიწერია ესე ფიცართა მყინვარისათა თითითა ჩემითა თქუენთუის, რომელ მოაქციეს ჩემთას.

⁴ ხელნაწერში სიტყვა შემდეგნაირადაა - „შუდით“

აწ, რომელნი ღირს ქმნულ ვართ სმენად წმიდასა ამას ბრძანებასა ღმრთისასა, შევწიროთ ყოველთა ქებაჲ, პატივი, თაყუანისცემაჲ და მადლობაჲ მამისა, ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის.

დააწერა წმიდაჲ ესე მოციქულ ოსტრომიონ ცოდვილისაჲთა, რომელთაცა აღმოაკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ ღმრთისათვის და თუ რაჲ უცხოებით დაგუეკლოს, შეგანდვით.

[ეს]ე დაწერილი წიგნი, რომელ ჰრომით მოვიდა, რომელი მას შინა ეწერა, ყოვლით დაუკლებლად დაგუიწერია.

Verso

2 კეფი

რომელნი ზრახვენ მღვდელთა ... ეკლესიასა... [სამი სტრიქონი გადაშლილია] ...ლთასა მისგან ... და უმეტეს დღე ჩემი წმიდაჲ კარიაკე შაბა... ორშაბათ ძხისა აღმოსავალისარა დაიმარხოთ დღე დიდი კვირი... [ოთხი სტრიქონი გადაშლილია] ...ომისა შ... სამოსელსა დ...რბლნი შენი შეიმოსნეს ჩუენი ...ვისა და... მოვავლინო თქუენ ზედა კარიაკისა ... და რჩულისა რაიმე მოგეც თქუენ და ...ვრეთ და ეკლესიათა კიდე ქცევასა ..., თუ არა ისმინოთ და არცა მოიქცეთ წყლითა თქუენთა და არა ისმინოთ უფლისა ჩემისა, რომელი გითხარ თქუენ, წარგწყმიდნენ ყოველნი უ... ყოფად არს და იქმნების თქუენთვის, ნუ ჰფუცავთ სახელსა ჩემსა დიდს და მარჯუნასა თქუენსა ძლიერსა უკუა, თუმცა არა

3 კეფი

იყო ვედრებჲ ანგელოზთა ჩუენთა თქუენთათვის, მოგვავლინენ თქუენ ზედა, ვითარცა დღენი ნ...დღისათვის კარიაკისა, მაშინ მოველინა წყლითა რღუნაჲ ქუეყანასა ზედა და ... ყოველმან და თქუენ მუნვე და თქუენგან.

ამას ღმერთმან თქუენ შობილსა ... არს, რამეთუ ობოლნი და ქურიენი და ბოროტნი და დავდრომილნი ეკიდებიან ლ...თა, თქუენთა და ჰყოფთ მათ ზედა წყალობასა შობილმან ... ცისანო ებრაელთა მივეც შჯული და კურთხევჲ ოსტრომიონთა ...სესითა მთასა სინასა და მათ უმეტესად კარნი მათნი განწმიდნეს და მონაგებნი მათნი განუდეს, გლახაკთა და უცხოთა შიშით და ძრწოლით მისწერდეს კრებულნი მათნი, რომლისაებრ მათისა დათქუენ, გმოსიეს ნათლისღებანი ჩემი წმიდაჲ ... მოცემულ არს თქუენდა ჩემ მიერ სამებისა წმიდისა ... და იქმნენით თქუენ გ... .. არა მსმენელად, არცა ისმინეთ ... მისა და მცნებანი ჩემნი არა დაიმარ... .., მოიქეცით, თუ მვე... .. და მე თქუენდა, რამეთუ ოსტრომიონი ჩემიცეთ თქუენ ჩემდა ...გან ბოროტისა და არა ჰყავთ წყალობჲ გლახაკთა ზედა და არა დაიმარ

გამოყენებული ლიტერატურა

- თავაძე, შ., & მეგენიშვილი, ნ. (2023). *ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევის მნიშვნელობისათვის, ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების კოდიკოლოგიური ანალიზი და მასალის სტრუქტურული კვლევა*. გვ. 5-59
- თავაძე, შ., & მეგენიშვილი, ნ. (2022). *ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერი გრაფიკების ინტერდისციპლინური თავისებურებები*. *სამეცნიერო ჟურნალი Scientia*. 3. გვ. 372-386, მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://scientia.ge/https://doi.org/10.51364/26679604.jcpr.2022.v03i03.015>
- თავაძე, შ. (2023). *გრაფიკული ხელნაწერების კონსერვაცია (ეტრატის საწერი მასალა)*. *გრაფიკული ხელნაწერები - ინტერდისციპლინარული კვლევა*. თბილისი. გვ. 32

კეკელიძე, ვ. (1960). *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. I. ხელნაწერთა აღწერილობა (H) კოლექცია. (1950). *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) კოლექცია*. ტ. IV. გვ. 158-159. H-1727 - ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნინო მეგენეიშვილმა.

REFERENCES

- tavadze, sh., & megeneishvili, n. (2023). *pragment'uli khelnats'erebis k'vlevis mnishvnelobisatvis, et'rat'ze shesrulebuli pragment'uli khelnats'erebis k'odik'ologiuri analizi da masalis st'rukt'uruli k'vleva [For the importance of fragmentary manuscripts, codicological analysis of fragmentary manuscripts performed on parchment and structural research of the material]*. pp. 5-59.
- tavadze, sh., & megeneishvili, n. (2022). *et'rat'ze shesrulebuli pragment'uli khelnats'eri gragnilebis int'erdistsip'linuri taviseburebebi [Interdisciplinary features of the Study of fragmentary manuscript scrolls written on parchment]*. *Scientific journal Scientia*. 3. pp. 372-386, Retrieved from <https://scientia.ge/https://doi.org/10.51364/26679604.jcpr.2022.v03i03.015>
- tavadze, sh. (2023). *gragnili khelnats'erebis k'onservatsia (et'rat'is sats'eri masala) [Conservation of Scroll Manuscripts (Etratis Writing Material)]*. *gragnili khelnats'erebi - int'erdistsip'linaruli k'vleva [Scroll Manuscripts - Interdisciplinary Research]*. Tbilisi. pp. 32
- k'ek'elidze, k'. (1960). *kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Georgian Literature]*. Vol. I.
- khelnats'erta aghts'eriloba (H) k'oleksia [Manuscript Description (H) Collection]. (1950). *sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis kartul khelnats'erta aghts'eriloba (H) k'oleksia [Description of Georgian Manuscripts (H) Collection of the State Museum of Georgia]*. Vol. IV. pp. 158-159. H-1727 - The text was prepared for publication by Nino Megeneishvili.